ნორვეგიის ქალაქ ტრონჰეიმში სააღდგომო ლიტანიობა წყალზე ჩატარდა

ბრწყინვალე შვიდეულის დღეებში წმინდა მთავრინა ანნა ნოვგოროდელის სახელობის სამრევლოს მიერ ტრონჰეიმში (ნორვეგია) უძველესი ქალაქის უახლოეს ისტორიაში სააღდგომო ლიტანობა წყალზე პირველად ჩატარდა. ორი საათის განმავლობაში მიმდინარეობდა მახარებლობითი „მსვლელობა“ ნავით, რომელიც ვიკინგების ძველი გემის მსგავსად იყო აღჭურვილი. ნავმა მდინარე ნიდელვასა და ფიორდის საზღვაო წყლების გზით ქალაქის ცენტრში გაირა.

ნავის ქიმზე აღმართული იყო ჯვარი და იდგა ქრისტეს აღდგომის ერთ მეტრიანი ხატი; მსვლელობის მონაწილეებს აღმართეს ბაირაღები. ნავის შუა ნაწილში მოაწყვეს კიდობანი წმინდა მეფე ოლაფ ნორვეგიელის წმინდა ნაწილებით.

ნავით მსვლელობისას სამრევლოს წინამძღვარი მღვდელი ალექსანდრე ვოლოხანი და მრევლი სააღდგომო საგალობლებს გალობდნენ სამ ენაზე: საეკლესიო სლავურად, ნორვეგიულად და ბერძნულად, ქრისტეს აღდგომის ცხოვრებისმომნიჭებელი უწყების შეძახილით.

ნიდაროსდომენის ტაძრის მახლობლად, ნორვეგიელი მეფეების მეფედ კურთხევის ადგილას, სახარება იქნა წაკითხული.

მდინარის შესართავში კუნძულ მანხჰოლმენის პირდაპირ, სადაც დღევანდელ დღემდე შემორჩენილია მონასტრის უძველესი კედლები, ტრონჰეიმში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის სამრევლოს წინამძღვარმა ქვეყნისა და მთელი სკანდინავიის ზეციური მფარველისადმი ლოცვით, ნორვეგიის ზღვის წყლებზე აღმართა კიდობანი, რომელშიც „ნორვეგიის მარადიული მეფის“ წმინდა ნაწილებია დაცული.

მდინარე ნიდელვის ორივე ნაპირიდან, ლიტანიობის მონაწილეების მისამართით ქალაქის მოსახლეობის მხრიდან ისმოდა მისალმება და კეთილგანწყობილი შეძახილები, – აღნიშნულია სამრევლოს საიტზე (**https://ortodoksnorge.no**/).

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87179/